სსიპ
საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტი
ბრძანება
05.10.2015 №. 190
თბილისი

სტუ-ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების
მქონე აპლიკანტთათვის 2015-2016 სასწავლო წლის პირველ
სემესტრში (საშემოდგომო მიღება) პროფესიული
ტესტირების ჩატარების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, "პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში ასისტენტის 2015 წლის 4 ოქტომბრის ელექტრონული წერილის, „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა 2015 წლის შემოდგომაზე პროფესიული ტესტირების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით იმ დაწესებულებათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომელშიც განთავსდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანთათვის საგამოცდო ცენტრები" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 05 ოქტომბრის №1084 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სტუ-ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის 2015-2016 სასწავლო წლის პირველ სემესტრში (საშემოდგომო მიღება) პროფესიული ტესტირების კომისიის შემადგენლობა (იხ.დანართი 1)
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის ტესტირება ჩატარდეს მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს. ტესტირება დაიწყოს 09:00 საათიდან თანდართული გრაფიკის მიხედვით (იხ. დანართი 2).

3. ტესტირება ჩატარდეს თითოეული აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკული მოსინჯვის გზით.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (გ. აბრამიშვილი).
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი *ბ. მაისურაძე*

დანართი 1

ტესტირების კომისიის შემადგენლობა

1. ეკატერინე ნარეშელაშვილი - სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თეონა გავაშელიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრი.
3. მამუკა მაისურაძე - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (კომისიის წევრი);
4. თამარ ცინცაძე - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ფარმაციის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი);
5. ლეილა გვერწითელი - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გარემოს დაცვის ტექნიკოსის“ ხელმძღვანელი (კომისიის წევრი).
6. რამაზ ტყემალაძე - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის წევრი);
7. ნია ნათბილაძე - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის წევრი);
8. ლია კაპანაძე - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“ ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
9. გიორგი ნადირაშვილი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის უფროსი ლაბორანტი (კომისიის წევრი);

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების ტესტირების გრაფიკი

6 ოქტომბერი

დრო	სახელი-გვარი	საგანმანათლებლო პროგრამა
09:00-10:00	გუგა შაყულაშვილი	გარემოს დაცვის ტექნიკოსი
10:00-11:00	შორენა მაჭარაშვილი	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი
11.00-12.00	ნინო მარხვაშვილი	ფარმაცევტის თანაშემწე
12:00-13:00	მარიამ ალფაიძე	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი
13:00-13:30		
13:30-14:30	თორნიკე ბირბიჩაძე	ამწე-სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოსი
14:30-15:30	თორნიკე ბირბიჩაძე	დურგალი
15:30-16:30	თორნიკე ბირბიჩაძე	პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი